განმარტებითი ბარათი

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმების (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და კრიზისის მიმართ მდგრადობის გასაძლიერებლად“)“ თაობაზე

2020 წლის 26 მარტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის ,,სწრაფი ფინანსური მხარდაჭერა კოვიდ-19-ს კრიზისის განმავლობაში“ საფუძველზე რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი თანხმდება მხარეებთან - ფინანსთა სამინისტროსთან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომ საქართველოსთვის გადაუდებელი ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად მოამზადოს ახალი პროგრამა ,,საქართველოს ეკონომიკის კონკურენციის გაძლიერება და კრიზისის გადალახვა“, რომლის დაფინანსებაც 180 მილიონი ევროა. ფინანსური რესურსის ძიების პროცესში გაირკვა, რომ შესაძლებელი იყო თანხების გამოთავისუფლება და გადაწყდა შეცვლილიყო ორი სასესხო შეთანხმება, რომელთაგან ერთი ეხება KfW-სა და საქართველოს შორის 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილ სასესხო შეთანხმებას „ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა“ (გაფორმებული 60 მლნ ევროზე) და მეორე, რომელიც ეხება 2018 წლის 24 აგვისტოს KfW-სა და სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას შორის ხელმოწერილ სასესხო შეთანხმებას „სამგორის სამხრეთ ნაწილის მიწისქვეშა გაზის საცავისთვის“ (გაფორმებული 150 მლნ ევროზე. აღნიშნული დაფინანსებიდან მოხდა 120 მილიონი ევროს რეპროგრამირება).

ზემოაღნიშნული ,,საქართველოს ეკონომიკის კონკურენციის გაძლიერება და კრიზისის გადალახვა“ პროგრამის ფარგლებში გამოსაყოფი თანხა წარმოადგენს ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხს და პირდაპირ მიიმართება ბიუჯეტში. თანხის ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პროგრამის „განვითარების პოლიტიკის ღონისძიება ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობისთვის“ (DPO) (DPO - 45 მლნ ევრო, დამატებითი DPO - 45 მლნ ევრო) ფარგლებში წარმოდგენილი ღონისძიებების შესრულება, ეკონომიკის მართვისა და კონკურენციის გაძლიერების მიმართულებით და დამატებით ასევე კოვიდ-19 პანდემიის კრიზისის დროს მდგრადობის ხელშეწყობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში არსებული ყველა ღონისძიება შესრულებულია.

ზემოაღნიშნული ახალი პროგრამის უზრუნველსაყოფად მიმდინარე წლის 7 აგვისტოს რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საქართველოს შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და კრიზისის მიმართ მდგრადობის გასაძლიერებლად“).

სასესხო შეთანხმება ითვალისწინებს KfW-ის მიერ საქართველოსთვის სესხის სახით 180 მილიონი ევროს გამოყოფას შემდეგი ფინანსური პირობებით :

- სესხის მოცულობა: 180 მილიონი ევრო;
- სესხის ხანგრძლივობა: 13 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 2 წელი);
- საპროცენტო განაკვეთი: 6 თვიან EURIBOR-ზე დაფუძნებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთი (EURIBOR+მარჟა), 6 აგვისტოს მდგომარეობით EURIBOR არის -0.417%, ხოლო მარჟა შეადგენს 0.85%-ს, რომელიც დაფიქსირდა ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს;
- ვალდებულების გადასახდელი: წლიური 0.25% (ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს).

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.